ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N6

დაბა ქედა 26 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

26.12.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №.15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 დეკემბრის N:გ-95.95233423 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №.15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2023 წლის 25 დეკემბერი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი:95-95233491; წერილის თარიღი 15/12/2023) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი:03-95233541-95; წერილის თარიღი 20/12/2023) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 2

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 სექტემბრის №.15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 დეკემბრის N:გ-95.95233424 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2023 წლის 25 დეკემბერი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი:95-95233491; წერილის თარიღი 15/12/2023) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი:03-95233541-95; წერილის თარიღი 20/12/2023) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

3. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 დეკემბრის N:გ-95.95233425 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში განისაზღვრა 2023 წლის 25 დეკემბერი, დღის 18:00 საათამდე.

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი:95-95233491; წერილის თარიღი 15/12/2023) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი: N:03-95233541-95; წერილის თარიღი 20/12/2023)საქართველოს მთავრობის

ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ვაჟა აბულაძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში